შპს მაღარო კაპიტალი (ს/ნ:402174295)

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

N2304-12/1

12.04.2023 წ.

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბისხევის მიმდებარე ტერიტორიებზე შპს „მაღარო კაპიტალი“-ს დაგეგმილი აქვს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე ს/კ: 56.05.53.023, ს/კ: 56.05.53.022 საერთო ფართობით 465.93 ჰა, სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის (რეზერვუარის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

მოცემულ პროექტზე, 2023 წლის 26 იანვარს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 1.3. და 9.9. ქვეპუნქტების საფუძველზე სააგენტოს მიერ N 41/ს ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა N68. რის შედეგადაც განსაზღვრულ და დადგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

გზშ-ს ეტაპზე პროექტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწიებით, დაგეგმილია 130000 მ³ მუშა მოცულობის რეზერვუარის მოწყობა, შესაბამისად პროექტით დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1 პუნქტის 1.3 ქვეპუპუნქტით (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) და I დანართის 21-ე პუნქტით (კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ³-ზე მეტი) გათვალისწინებულ საქმიანობას.

შესაბამისად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე კოდექსის მე-11-ე მუხლის და სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, მომზადდა წინამდებარე სამელიორაციო სისტემისა და წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
18 04 2023 წ.
№ 3256

შპს მაღარო კაპიტალი ს/ნ:402174295 მის: თბილისი, ბელიაშვილის ქ. 100 ტელ:599252042

შპს მაღარო კაპიტალი (ს/ნ:402174295)

წერილს თან ერთვის:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
- საპროექტო ინფრასტრუქტურის ტექნიკური პროექტი (ნახაზები pdf სახით) - ელ. ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD ;

პატივისცემით,

შპს „მაღარო კაპიტალი"-ს დირექტორი

ზაზა ბაკურაძე